## ბავშვის ინტერესების დაცვა

- უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭეთ ბავშვის ინტერესებს
- არ მოამზადოთ ისეთი მასალა, რომელიც საზიანო იქნება მისთვის
- ნუ მისცემთ რესპონდენტებს ბავშვის უფლებების შელახვის შესაძლებლობას

**არ გამოიყენოთ ბავშვები**

- დაცინვის, ანდა გართობის ობიექტად
- საყვარელ არსებად, რომლის ნათქვამსაც არასერიოზულად აღიქვამენ
- როგორც რაიმე ობიექტი, რომელიც უფრო სენტიმენტალურს ხდის მასალას
- ეთერის „გასალამაზებლად“
- მასზე ექსპერიმენტების ჩასატარებლად (მაგალითად დასკონსორებულ გადაცემაში)

## მშობლის/მეურვის ნებართვა

- ბავშვთან ურთიერთობამდე წინასწარი ნებართვა სთხოვეთ მშობელს ან მეურვეს
- დარწმუნდით, რომ ვისგანაც ნებართვას იღებთ, ნამდვილად მშობელი/მეურვეა

**მშობლის/მეურვის ნებართვა არ არის საჭირო, როდესაც**

- ბავშვი საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე გახდა საზოგადოებივი ინტერესის ობიექტი
- საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ზოგადი ფოტო/ვიდეოს გადაღებისას

## გახსოვდეთ!

მშობლის/მეურვის თანხმობა არ ათავისუფლებს ჟურნალისტს პასუხისმგებლობისგან. მედიის წარმომადგენელმა თავად უნდა შეაფასოს ის ზიანი, რაც შეიძლება ბავშვის იდენტიფიცირებას მოჰყვეს.

## რეკომენდაციები ბავშვთა საკითხების გასაშუქებლად

შემუშავებულია საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის და WORLD VISION საქართველოს ერთობლივი თანამშრომლობით

## რეკომენდაციებზე მუშაობდნენ:

მაია მგელიაშვილი
ცირა ბარქაია
სალომე ჯიოშვილი
თეონა ნავდარაშვილი
ანა ჩხაიძე





## რეკომენდაციები

# ბავშვთა საკითხების გასაშუქებლად

## ბავშვის ინტერესების დაცვა

- უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭეთ ბავშვის ინტერესებს
- არ მოამზადოთ ისეთი მასალა, რომელიც საზიანო იქნება მისთვის
- ნუ მისცემთ რესპონდენტებს ბავშვის უფლებების შელახვის შესაძლებლობას

არ გამოიყენოთ ბავშვები

- დაცინვის, ანდა გართობის ობიექტად
- საყვარელ არსებად, რომლის ნათქვამსაც არასერიოზულად აღიქვამენ
- როგორც რაიმე ობიექტი, რომელიც უფრო სენტიმენტალურს ხდის მასალას
- ეთერის „გასალამაზებლად“
- მასზე ექსპერიმენტების ჩასატარებლად (მაგალითად დასკონსორებულ გადაცემაში)

## მშობლის/მეურვის ნებართვა

- ბავშვთან ურთიერთობამდე წინასწარი ნებართვა სთხოვეთ მშობელს ან მეურვეს
- დარწმუნდით, რომ ვისგანაც ნებართვას იღებთ, ნამდვილად მშობელი/მეურვეა

მშობლის/მეურვის ნებართვა არ არის საჭირო, როდესაც

- ბავშვი საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე გახდა საზოგადოებივი ინტერესის ობიექტი
- საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ზოგადი ფოტო/ვიდეოს გადაღებისას

### გახსოვდეთ!

მშობლის/მეურვის თანხმობა არ ათავისუფლებს ჟურნალისტს პასუხისმგებლობისგან. მედიის წარმომადგენელმა თავად უნდა შეაფასოს ის ზიანი, რაც შეიძლება ბავშვის იდენტიფიცირებას მოჰყვეს.

## როდის დავფაროთ ბავშვი

ბავშვის დაფარვა უპირობოდ აუცილებელია როდესაც ის არის:

- ძალადობის/დანაშაულის მსხვერპლი
- ბრალდებული/მსჯავრდებული/მოწმე
- არის ჩართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში
- რაიმე ფორმით არის დაკავშირებული სექსუალურ ძალადობასთან
- საომარ მოქმედებებში ჩართული ბავშვი იარაღით ხელში

ბავშვის დაფარვა საჭიროა მაშინ, როდესაც შესაძლებელია მას რაიმე ტიპის ზიანი მიადგეს მაგალითად, გახდეს ბულინგის მსხვერპლი, მოხდეს მისი სტიგმატიზება, გარიყვა ან ნებისმიერი სახით გაუარესდეს მისი მდგომარეობა.

## ბავშვთან კომუნიკაცია:

- აუცილებლად ასაუბრეთ ბავშვები, მათ თამაშის გარდა სხვა საკითხებიც აღელვებთ
- არ ესაუბროთ „ენის მოჩლექით“, დაუსვით კითხვები გამართულად
- ისაუბრეთ ბავშვისთვის გასაგებ ენაზე
- სერიოზულად აღიქვით ბავშვის ნათქვამი, არ გაიცინოთ, არ გაუქროთ საუბრის სურვილი
- არ აიძულოთ ბავშვი გასცეს ინფორმაცია

ბავშვთან ინტერვიუს დროს

- არ შეარჩიოთ ბავშვი სქესის, რასის ანდა ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით
- დაიკავეთ ისეთი პოზიცია, რომ ბავშვმა პირდაპირ გიყუროთ და არა ქვემოდან ზემოთ
- ჩაწერეთ ინტერვიუ მისთვის სასურველ, მოსახერხებელ ადგილას
- მიეცით უფლება ისე მოთავსდეს, როგორც მას სურს

### გახსოვდეთ!

- ინტერვიუზე დათანხმების სანაცვლოდ საჩუქრის დაპირება დაუშვებელია
- მცირეწლოვანი ბავშვის ფანტაზია დიდია და მისი ნათქვამი შესაძლოა სიმართლეს არ შეეფერებოდეს და მისი წარმოსახვის ნაყოფი იყოს.

## არასრულწლოვანთა სუიციდი

- უპირველეს ყოვლისა უპასუხეთ კითხვას - უნდა გაშუქდეს თუ არა კონკრეტული, ცალკეული ფაქტი?
- არ მოყვეთ დეტალები და ნუ აჩვენებთ იმ გარემოს, სადაც სუიციდი მოხდა
- არ გააშუქოთ სუიციდი როგორც გმირული საქციელი
- არ თქვათ, რომ სუიციდით „ტკივილის/ტანჯვას ბოლო მოეღო“
- არ დაასახელოთ სუიციდის ერთი კონკრეტული მიზეზი, - სუიციდს კომპლექსური პრობლემები იწვევს
- არ გაასაჯაროოთ ყველა გაგონილი ინფორმაცია, პატივიეცით გარდაცვლილის პირად ცხოვრებას
- გავრცელებამდე შეაფასეთ გარდაცვლილის ოჯახის წევრების, ახლობლებისა და სამართალდამცველებისგან მიღებული ინფორმაცია

## ძალადობა და ტრავმა

- თუ ტრავმირებული ბავშვი ან მისი მშობლები ინტერვიუმდე დროს ითხოვენ, დაელოდეთ
- ბავშვს უნდა აჩვენოთ, რომ კი არ გეცოდებათ, არამედ უსმენთ
- მტკივნეულ საკითხზე საუბარს პირდაპირ ნუ დაიწყებთ
- ყურადღებით იყავით, რომ ყველა კითხვა შესაბამისობაში იყო ბავშვის ასაკთან

### გახსოვდეთ!

დაშავებული ბავშვის ფოტო/ვიდეო უფრო ბევრის მთქმელი და ემოციურია საზოგადოებისთვის, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ შესაძლოა ამგვარი კადრები თავად ბავშვისთვის მტკივნეული იყოს.

## ბავშვის სტიგმატიზება, ან/და რეტრავმირება

- ნუ მოახდენთ ბავშვის სტიგმატიზებას
- არ გაახსენოთ ის ამბავი, რაც მასზე ნეგატიურად იმოქმედებს
- შოკურ მდგომარეობაში მყოფი ბავში არ ჩაწეროთ შემთხვევის ადგილას
- სიფრთხილით მოეკიდეთ დაშავებული ბავშვის ფოტოს/ვიდეოს ჩვენებას
- ტრავმირებულ ბავშვთან საუბრამდე გაარკვიეთ, რა იქნება ყველაზე რთული და ემოციური, ამით თავიდან აიცილებთ რეტრამვირებას

### გახსოვდეთ!

შემთხვევიდან წლების გასვლის შემდეგაც კი ამბის გახსნებეამ შესაძლოა მოულოდნელი ემოციური რეაქცია გამოიწვიოს.

## ბავშვთა სიღარიბე

- ბავშვთა სიღარიბე და სოციალური პრობლემები გააშუქეთ თანმიმდევრობით
- კონკრეტული ისტორიები გამოიყენეთ სისტემური პრობლემის წარმოსაჩენად
- სიფრთხილით მოეკიდეთ კადრების შერჩევას
- არ მოახდინოთ ბავშვების სტიგმატიზება
- არ წარმოაჩინოთ ბავშვი მოწყალების მომლოდინე ობიექტად
- რაც არ უნდა მძიმე იყოს ისტორია, ეცადეთ წარმოაჩინოთ პოზიტიური დეტალებიც